სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №97
(გამარტივებული შესყიდვა, წარმომადგენლობითი ხარჯი)

ქ. მცხეთა 12 ივლისი 2018 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი ,,საქპატენტი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი საფინანსო დეპარტამენტის უფროსის ვლადიმერ სიხარულიძის სახით, (საქპატენტის" თავმჯდომარის 2013 წლის სამი იანვრის №04 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე) და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი ხატია ჭანიშვილი, მცხოვრები ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №14, პირადი №01025002306 (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას.
1.6. ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: სსიპ „საქპატენტის" 2018 წლის საკუთარი სახსრების ფარგლებში, ა.წ. 12-13 ივლისს დაგეგმილი, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი"-ს და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მიერ ერთობლივად გასამართ მე-4 საერთაშორისო კონფერენციის *(თემა:"საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ". აღნიშნული კონფერენცია მიეძღვნება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაუმჯობესებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას. კონფერენცია ჩატარდება ქალაქ ბათუმში. სასტუმროში „ჰილტონ ბათუმი")* ჩატარებასთან დაკავშირებით, სინქრონული თარგმნის მომსახურების შესყიდვა (ინგლისური-ქართული) 2 დღის განმავლობაში (CPV-79540000).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ჯამური ღირებულება შეადგენს: **3050.38 (სამი ათას ორმოცდაათი ლარი და 38 თეთრი) ლარს.** საშემოსავლოს აკავებს საქპატენტი.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშსწორების განსახორციელებლად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი.
4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიწოდება ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: ანა ხოშტარია (საერთაშორისო ურთიერთობათა და პროექტების მართვის განყოფილების უფროსი).

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია: წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების მე-2 მუხლში გათვალისწინებული მომსახურება.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, არაჯეროვნად შესრულება ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსრულებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის 10%-ის ოდენობით, რომლის გადახდაც მოხდება შემსყიდველის მიერ დასაბუთებული წერილობით მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში.
7.3. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

8. მხარეთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

8.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ

გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედებები, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა).
8.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება ვალდებულია გონივრულ ვადაში წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების და მისი აღმოფხვრის სავარაუდო ვადის შესახებ.
8.4. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს.
9.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან შემსრულებელის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედებები, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, სახელმწიფო გადატრიალება და სხვ.).
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. უფლებების გადაცემა

შემსრულებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც

ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე პირს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი შემსრულებელს, ხოლო ორი შემსყიდველს).
13.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 აგვისტომდე.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთ-
რების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი"
მისამართი: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.№5
საიდენტიფიკაციოკოდი: 203831363
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგ. № 707807132

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
ვლადიმერ სიხარულიძე

მიმწოდებელი

ფიზ. პირი ხატია ჭანიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის
გამზირი №14
პირადი № 01025002306
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ.№GE44TB1100000400179500

ხატია ჭანიშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი №97

2018 წლის 12 ივლისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით №97 გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ

ქ. თბილისი

16 ივლისი 2018 წ.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ 2018 წლის 12 ივლისის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების“ მე-2 მუხლის შესაბამისად ფიზიკურმა პირმა ხატია ჭანიშვილმა (მცხოვრები ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №14, პირადი №01025002306), ა.წ. 12-13 ივლისს, სასტუმრო ,,ჰილტონ ბათუმში“, უზრუნველყო სინქრონული თარგმნის (ინგლისური-ქართული) მომსახურებით 2 დღის განმავლობაში (CPV-79540000), რაც დაკავშირებული იყო ა.წ. 12-13 ივლისს დაგეგმილი, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“-ს და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მიერ ერთობლივად გამართულ მე-4 საერთაშორისო კონფერენციის *(თემა:"საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ")* ჩატარებასთან.

მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს: **3050.38 (სამი ათას ორმოცდაათი ლარი და 38 თეთრი) ლარს.** საშემოსავლოს აკავებს საქპატენტი.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

„შემსყიდველი“
„საქპატენტი“
საერთაშორისო ურთიერთობათა და
პროექტების მართვის განყოფილების
უფროსი

ა. ხოშტარია

მიმწოდებელი

ხ. ჭანიშვილი

18.07.18

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. მცხეთა 12 ივლისი 2018 წ.

ვადასტურებ, რომ სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ მიერ, სათარჯიმნო მომსახურების (CPV-79540000) გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში (მიმწოდებელი: ფიზ. პირი ხატია ჭანიშვილი, პ/ნ 01025002306), ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

საერთაშორისო ურთიერთობათა
და პროექტების მართვის
განყოფილების უფროსი

ანა ხოშტარია